ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

25 ივნისი 2024

N 409

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „ბიდიო კონსალტინგის" ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებლად აღიარებისა და განგრძობითი განათლების სასწავლო ტრენინგის პროგრამის შეთანხმების თაობაზე

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2023 წლის 23 აგვისტოს №ნ-8 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომ - წესი) შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის (შემდგომ - სამსახური) წარდგენილ იქნა, შპს „ბიდიო კონსალტინგის" (ს/კ: 205214230) 2024 წლის 31 მაისის განცხადება (რეგისტრაციის N90595/16) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებლად აღიარებისა და განგრძობითი განათლების სასწავლო ტრენინგის პროგრამის შეთანხმების შესახებ. სამსახურის მიერ 2024 წლის 13 ივნისს (რეგისტრაციის N16/45509), წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დადგინდა ხარვეზი, რომელიც დაინტერესებული პირის მიერ აღმოფხვრილ იქნა 2024 წლის 18 ივნისის განცხადებით (რეგისტრაციის N102485/16).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და წესის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დასრულდეს შპს „ბიდიო კონსალტინგის" (ს/კ: 205214230) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებლად აღიარებასა და განგრძობითი განათლების სასწავლო ტრენინგის პროგრამის შეთანხმებასთან დაკავშირებული წარმოება.

2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს. შპს „ბიდიო კონსალტინგი" (ს/კ: 205214230) აღიარდეს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებლად 2024 კალენდარული წლის პერიოდისთვის და შეთანხმებულად ჩაითვალოს 2024 წლის 31 მაისს (რეგისტრაციის N90595/16) წარმოდგენილი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების სასწავლო ტრენინგის პროგრამა.

3. მიენიჭოს შპს „ბიდიო კონსალტინგის" (ს/კ: 205214230) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების სასწავლო ტრენინგის სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-AMLCFTCPD-03/24.

4. დაევალოს შპს „ბიდიო კონსალტინგის" (ს/კ: 205214230) სამსახურთან შეთანხმებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების სასწავლო ტრენინგის პროგრამის საჯაროდ განთავსება.

5. შპს „ბიდიო კონსალტინგის" (ს/კ: 205214230) მიერ წესის მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

6. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომლებს მონიტორინგი გაუწიონ შპს „ბიდიო კონსალტინგის" (ს/კ: 205214230) მიერ წარმოდგენილი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების სასწავლო ტრენინგს.

7. ინფორმაცია შპს „ბიდიო კონსალტინგის"(ს/კ: 205214230) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებლად აღიარების თაობაზე განთავსდეს სამსახურის ვებგვერდზე.

8. გადაწყვეტილება გაეგზავნოს შპს „ბიდიო კონსალტინგს" (ს/კ: 205214230) ამ ბრძანების კანონიერ ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

https://edoc.mof.ge/public/#/409-16-4-202406251214

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE